

### **მასტერ კლასი: "სამეცნიერო პრაქტიკების გამოყენება ბიოლოგიის სწავლებაში"**

სამეცნიერო პრაქტიკები წარმოადგენს საბუნებისმეტყველო საგნების, მათ შორის, ბიოლოგიის სწავლების ალტერნატიულ გზას, რომელიც ასევე უზრუნველყოფს აქტიურ სწავლა-სწავლებას. მასში კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ჩამოილია ცალკეულ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პროცესებად, თითოეული ამ პროცესის/პრაქტიკის განხორციელება და შედეგის მიღწევა შესაძლებელია სხვა პრაქტიკისგან დამოუკიდებლად, თანმიმდევრობის გარეშე, როგორც ერთ, ასევე ერთზე მეტ გაკვეთილში. სამეცნიერო პრაქტიკების გამოყენება მასწავლებელს აძლევს მეტ თავისუფლებას, რადგან მას შეუძლია დაანაწილოს შესასწავლი თემა ცალკეულ ნაწილებად და მოარგოს თითოეული ნაწილი ცალკეულ პრაქტიკას, ან პრაქტიკებს.

მასტერ კლასში განხილული იქნება სამეცნიერო პრაქტიკების არსი და მათი ადგილი მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო მიდგომებს შორის. გაანალიზდება სამეცნიერო პრაქტიკების გამოყენების ძირითადი პრინციპები, შეთავაზებულ იქნება ბიოლოგიის სწავლა-სწავლების პროცესში მათი გამოყენების კონკრეტული გზები და მაგალითები.

მასტერკლასს ექნება ინტერაქტიული სამუშაო ფორმატი, რათა უზრუნველყოს მონაწილეთა მაქსიმალური ჩართულობა შეხვედრაში, განსახილველი საკითხების სიღრმისეული გააზრება და პრაქტიკული გავარჯიშება. მასტერკლასი განკუთვნილი იქნება საბაზო და საშუალო საფეხურის ბიოლოგიის მასწავლებლებისათვის.

#### **მასტერკლასის შედეგად მონაწილეები შეძლებენ:**

1. გაიაზრონ სამეცნიერო პრაქტიკების არსი და მნიშვნელობა, დაუკავშირონ ის სასწავლო პროცესს;
2. არსობრივად განასხვავონ ერთმანეთისაგან სამეცნიერო პრაქტიკები და დაუკავშირონ ისინი კონკრეტულ სასწავლო თემებს;
3. შექმნან გაკვეთილის სცენარი სამეცნიერო პრაქტიკების გამოყენებით.

**მასტერ კლასის მიზნობრივი ჯგუფი:** ბიოლოგიის მოქმედი მასწავლებლები

**მსმენელთა რაოდენობა:** 20 მსმენელი

**მასტერ კლასის ხანგრძლივობა:** 4 საათი